

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №95

2014 წლის 17 იანვარი

ქ. თბილისი

„ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში (სსმ, 14/01/2011) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული [„ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ვეტერინარული სერტიფიკატების გაცემის წესის“](#) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ვეტერინარული სერტიფიკატი (შემდგომში – სერტიფიკატი) არის 15 სახის:

ა) საქართველოდან ექსპორტირებულ საკლავ, სანაშენე და სხვა ცხოველებზე, ფრინველებზე, ფუტკარზე და ამანათ ნაყარზე (ფუტკრის ხელოვნურად შექმნილი ახალი ოჯახი) (დანართი №1);

ბ) საქართველოდან ექსპორტირებული შინაური და გარეული ცხოველების ხორცსა და ხორცპროდუქტებზე (დანართი №2);

გ) საქართველოდან ექსპორტირებულ რძესა და რძის პროდუქტებზე (დანართი №3);

დ) საქართველოდან ექსპორტირებულ ცხოველური წარმოშობის ნედლეულზე (დანართი №4);

ე) საქართველოდან ექსპორტირებულ სანაშენე მასალაზე (მწარმოებლის სპერმაზე, ემბრიონზე, საინკუბაციო კვერცხზე, ქვირითზე და სხვ.) (დანართი №5);

ვ) საქართველოდან ექსპორტირებულ მეცხოველეობისათვის განკუთვნილ მარცვალსა და მემცენარეობის სხვა პროდუქტებზე (დანართი №6);

ზ) საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში გასაგზავნი ძუძუმწოვარი ცხოველების ახალ და გაყინულ ტყავსა და ტყავნედლეულზე (დანართი №7);

თ) საქართველოდან ექსპორტირებულ თევზზე, ზღვის პროდუქტებსა და მათგან მიღებულ მზა ნაწარმზე (დანართი №8);

ი) საქართველოდან ექსპორტირებულ თაფლსა და მეფუტკრეობის პროდუქტებზე (დანართი №9);

კ) საქართველოდან ექსპორტირებულ სასურსათო კვერცხსა და კვერცხის ფხვნილზე (დანართი №10);

ლ) საქართველოდან ისრაელის სახელმწიფოში ექსპორტირებულ საკლავ დაკოდილ ცხვარზე (დანართი №11);

მ) საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში გასაგზავნ, დამუშავებულ ცხვრის მატყლზე (დანართი №12);

ნ) საქართველოდან ექსპორტირებულ ვეტერინარულ პრეპარატებზე, სუბსტანციაზე, ნედლეულზე,



დაუფასოებელ და შუალედურ პროდუქციაზე (დანართი №13);

ო) საქართველოდან ექსპორტირებული ცხოველური წარმოშობის საკვებისა და საკვებდანამატების (დანართი №14);

პ) საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში გასაგზავნად დამუშავებულ (პიკელირებულ, ქრომირებულ) ტყავსა და ტყავნედლეულზე (დანართი 15).“

2. დადგენილებას დაემატოს №15 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი №15



ვეტერინარული სერტიფიკატი

№ 000000

საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში გასაგზავნად, დამუშავებულ

(პიკელირებულ, ქრომირებულ) ტყავსა და ტყავნედლეულზე

Gürcistan'dan Türkiye Cumhuriyeti'ne İhraç Edilecek İşlenmiş Deri ve Deri Ham Maddesi (Pikle edilmiş, Kromlanmış) İçin Veteriner Sertifikası

Veterinary Certificate of treated leather and leather raw materials

(pickled, chromized) for export from Georgia to Republic of Turkey

სერტიფიკატის გამცემი ორგანო

Sertifikayı düzenleyen/Issued by: _____

ნედლეულის დასახელება

Hammaddenin adı /Name of raw product: _____

ადგილთა რაოდენობა

Paket sayısı /Number of packages : _____

შეფუთვა

Paketleme türü /Type of packing: _____

აღწერილობა

Tanımlama/Description : _____

წონა ნეტო

Net ağırlık /Net weight: _____

1. ნედლეულის წარმომავლობა / Hammadde(ler)nin Orijini /Origin of the raw product(s)



ექსპორტიორის სახელწოდება და მისამართი

İhracatçının adı ve adresi / Name and address of exporter: _____

ნედლეულის წარმომავლობა

Hammaddenin orijini /Origin of the raw material: _____

(შეკრებილი, სასაკლაო, სხვა წყარო/ *kesimhaneden, toplama yeri veya diğer kaynaklardan/* from slaughterhouse, collected, other sources)

2. ნედლეულის მიმართულება / Hammadde(ler)nin gideceği yer /Destination of the raw product(s)

დანიშნულების ქვეყანა

Varış ülkesi /Country of destination: _____

ტრანზიტის ქვეყანა

Transit ülke /Country of transit: _____

საზღვრის გადაკვეთის პუნქტი

Sınır geçiş noktası /Border crossing point: _____

მიმღების სახელწოდება და მისამართი

Alıcı adı ve adresi /Name and address of consignee: _____

ტრანსპორტი

Nakil aracı /Means of transport: _____

(მიეთითოს ვაგონის, ავტომანქანის №, თვითმფრინავის რეისი, გემის სახელწოდება)

(ship Vagon, kamyon, uçuş numarası, gemi adını belirtiniz /specify the number of the wagon, truck, flight-number, name of the ship):

3. დეკლარაცია / Beyanname /Declaration:

მე, ქვემოთ ხელის მომწერი, უფლებამოსილი პირი (ვეტერინარი), ვადასტურებ, რომ გასასინჯად წარმოდგენილი ნედლეული:

Ben aşağıda imzası bulunan yetkili kişi (veteriner Hekim), ham madde(ler)in aşağıda belirtilen muayenelere tabi tutulduğunu onaylarım /I, the undersigned authorised person (veterinarian) certify, that subject to examination raw products are:

– მიღებულია ჯანმრთელი ცხოველების დაკვლით საწარმოებში, რომელთაც გააჩნიათ აღნიშნული ნედლეულის ექსპორტის უფლება;

hammadde(ler) ihracat için onaylı tesislerde kesilen sağlıklı hayvanlardan elde edilmiştir /Derived from the healthy animals slaughtered in the premises having permission for export of raw materials;

– გამოდის ადგილიდან, რომელიც კეთილსაიმედოა სებ-ის მიერ დეკლარირებულ ცხოველთა დაავადებების მიმართ ბოლო 3 თვის განმავლობაში, აგრეთვე ჯილეხისა (ქურქ-ბეწვეულის და ტყავნედლეულისთვის) და სალმონელოზის (ნაკრტენის და ზუმბულის) მიმართ;

son üç ay süresince anthrax (kürk, deri ve postlar) ve salmonellosis (tüy ve telek) yanında OIE tarafından beyan edilen tüm enfeksiyöz hastalıklar yönünden güvenilir bölgelerden orijin almıştır /Originated from the area, which is reliable to all infectious diseases declared by the O.I.E. during the last 3 months, as well as anthrax (for fur, hides and skins) and salmonellosis (for down and feather);

– ნაკრები ტყავნედლეული სრულად არის გამოკვლეული ჯილეხზე უარყოფითი შედეგით შესაბამის ვეტერინარულ ლაბორატორიაში, რომელსაც აქვს ასეთი გამოკვლევის ჩატარების უფლება. *Toplanan post ve deriler ile hammadde, anthrax hastalığı yönünden bu tür testlerin yapılması için izin verilen uygun bir laboratuvarında test edilmiş ve sonuçlar negatif bulunmuştur. /Collected hides and skins, raw products were completely tested with negative results for anthrax in the appropriate laboratory having permission for conducting such tests.*

იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნით პროდუქტები გაგზავნის წინ, 201— წ. „—“ ————— გამოკვლეულია რადიოაქტიურ დაბინძურებაზე შესაბამის ლაბორატორიაში, რომელსაც გააჩნია ასეთი გამოკვლევის ჩატარების უფლება. რადიოაქტიური დაბინძურების დონე გამოკვლევით არ აღემატება ----- ბეკერელ/კგ-ს.

ithalatçı ülkenin talebine uygun olarak, sevkiyatın yüklendiği —————, „—“, 201—, tarihindən önce ürünler, bu tür testlerin yapılması için izin verilen uygun bir laboratuvarında radyoaktif kontaminasyon yönünden test edilmiştir; kontaminasyon seviyesi..... bk/kg geçmemiştir. /By the demand of the importing country, the products before shipment on —————, „—“, 201—, were tested for radio-active contamination in the appropriate laboratory permitted



to conduct such tests; the level of contamination did not exceed ----- bk/kg./

სატრანსპორტო საშუალება გაწმენდილი და დეზინფიცირებულია საქართველოში მიღებული მეთოდებით და საშუალებებით.

Nakliye aracı, Gürcistan'da kabul edilen metod ve araçlarla temizlenmiş ve dezenfekte edilmiştir. Means of transport have been cleaned and disinfected by the methods and means recognized in Georgia.

შედგენილია / *İmzalandığı tarih* / Signed on----- “ ----- 201-----

უფლებამოსილი პირი (ვეტერინარი)

Yetkili Kişi (Veteriner Hekim) / Authorised person (veterinarian) _____

(თანამდებობა, გვარი / *ünvan, İsim* title, name)

ხელმოწერა / *imza* / (Signature) _____

ბეჭედი / *mühür* / (Stamp)

